დამტკიცებულია

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის
დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-12 ბრძანებით

შპს შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

2026წ.

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების მიზანს წარმოადგენს ზოგადი განათლების ფარგლებში სასკოლო ინტერესების გატარების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა, საერთაშორისო ასპარეზზე სკოლის პოპულარიზაცია, მოზარდ და ახალგაზრდა თაობაში საქართველოს შესახებ ცნობიერების გაზრდა, კულტურული, სამეცნიერო და შემოქმედებითი სწავლების ხელშეწყობა, ინფორმირებულობის გაზრდა, მოსწავლეთათვის საინტერესო თემების პოპულარიზაციაში ხელშეწყობა, აგრეთვე, ზემოაღნიშნული მიზნების საინფორმაციო მხარდაჭერა.

სკოლა მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად სასწავლო წლის ნებისმიერ დროს ახორციელებს განაცხადების (იხ. დანართი N1) მიღებას მოსწავლის/მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფების მხრიდან.

დაწესებულება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ნებისმიერი ინიციატივის განხორციელებას, მათ შორის ისეთს, რომელიც მოითხოვს ფინანსურს მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში სკოლა წლიურად დააფინანსებს არანაკლებ 3 საუკეთესო ინიციატივას.

სკოლის მხრიდანკონკრეტული ინიციატივის დაფინანსების მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს 300 ლარს. შესაძლებელია ინიციატივა მოითხოვდეს უფრო მეტ დაფინანსებას, ასეთ შემთხვევაში თანადამფინანსებლის მოძიების შემთხვევაში, სკოლა არ იქნება წინააღმდეგი დააფინანსოს მოსწავლეთა ინიციატივა მაქსიმუმ 300 ლარით.

მოსწავლის/მოსწავლეთა ინიციატივა:

- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სკოლის მისიასა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს;
- არ უნდა სცდებოდეს ეთიკის ნორმებს;
- არ უნდა სცდებოდეს ასაკობრივ ცენზს;
- არ უნდა ემსახურებოდეს რელიგიურ ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის პროპაგანდას)

განაცხადის განხილვის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ისეთ განაცხადს, რომელიც ხელს შეუწყობს:

1. მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას;
2. მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
3. მოსწავლეთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში;
4. მოსწავლეებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას;
5. მისცემს მოსწავლეებს თვითრეალიზაციის საშუალებას;
6. აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას დაწესებულების ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში და ხელს შეუწყობს სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებას;

7. ზგემ-ის მიზნების განხორციელებას;
8. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დანერგვას

განაცხადის თემა მოსწავლეთათვის არის თავისუფალი, ხოლო რაც შეეხება გადარჩევას, განცხადების დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში, რომელიც ეცნობება განმცხადებელ პირს ან პირთა ჯგუფს.

დანართი N1.

განაცხადის ფორმა

ინიციატივის/პროექტის სახელწოდება:	
მოკლე აღწერა:	
განხორციელების სავარაუდო ვადა:	
მიზანი:	

მოსალოდნელი შედეგი:	
ჩართული პირები:	

გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ რა სახის მხარდაჭერა გესაჭიროებათ სკოლის მხრიდან. დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ ბიუჯეტი.

აღწერა:

ბიუჯეტის ცრილი

	აქტივობის/ნივთის დასახელება	1 ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	საფასური
1				
2				
3				
4				
5				
				სულ: